დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 15 ივნისი**

დისციპლინური საქმე №91/23-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 8 მაისის №91 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 22 მაისის №330/91-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- დაარღვიეს საჩივრის განხილვის წესები, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება. საჩივრის ავტორის განცხადებით -- -- მოსამართლეებმა არ გაითვალისწინეს მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და უპირობოდ დაეთანხმნენ -- -- გადაწყვეტილებას.

-- არ გაამახვილა ყურადღება საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე და იმსჯელა მხოლოდ თავისი ინიციატივით წამოჭრილ საკითხებზე.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2022 წლის 10 მარტს, -- -- საჩივრით მიმართა -- -- და მოითხოვა -- -- პასუხისმგებლობის დაკისრება. 2022 წლის 20 ივლისის, -- -- მიიღო გადაწყვეტილება -- -- მიმართ -- -- თაობაზე -- -- ვალდებულებების შესაძლო დარღვევის ნაწილში. 2022 წლის 14 ნოემბერს -- -- გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ -- -- მიერ ჩადენილი იყო -- --. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- 2023 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- -- წლის -- №-- გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- 2023 წლის 29 მაისის უსწორობის გასწორების განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- 2023 წლის 28 თებერვლის №-- გადაწყვეტილებაში შესწორდა დაშვებული უსწორობა; გადაწყვეტილების მიღების თარიღად მიეთითა 2023 წლის 28 თებერვალი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის -- -- თანახმად, -- -- გადაწყვეტილებაზე მიღებული საჩივარი განიხილება -- -- სხდომაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის -- -- თანახმად, საქმის არსებითი განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქმეში წარმოდგენილ მასალებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს მხარეებს ახსნა-განმარტებისათვის. მესამე და მეოთხე პუნქტები განსაზღვრავენ სხდომაზე მხარეთა გამოსვლის წესს. კერძოდ, პირველად ახსნა-განმარტებას იძლევა საჩივრის ავტორი/წარმომადგენელი, კერძოდ, როგორია მისი მოთხოვნა, რა გარემოებებს ემყარება ეს მოთხოვნა, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნას, უარს ხომ არ ამბობს საჩივარზე და სხვა. შემდეგ სასამართლო მოისმენს მოწინააღმდეგე მხარის/წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებს, ხომ არ ცნობს საჩივარს და სხვა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის -- -- იღებს გადაწყვეტილებას -- -- გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, თუ დადგინდება, რომ -- -- კანონიერად გაამართლა -- ან შეწყვიტა -- -- საქმის წარმოება, ანდა სწორი იურიდიული კვალიფიკაცია მისცა -- --, ამასთანავე, -- კანონიერი და სამართლიანი -- -- დააკისრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- 2023 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- -- წლის -- №-- გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მოთხოვნა თავისი შინაარსით წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

შეწყდეს, -- -- 2023 წლის 8 მაისის №91 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი